ხაშურის მოამბე

№18 (149) 7 მაისი, ორშაბათი, 2018 წელი

ნატოს დღეები შიდა ქართლში

ამ დღეებში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევში, იუსტიციის საზოგადოებრივ ცენტრში, ნატოს დღეების ფარგლებში, შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ხაშურის მუნიციპალიტეტიდან მერის მოადგილე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი - ზურაბ ჩხიტუნიძე, მერის თანაშემწე მერაბ ბარბაქაძე და საოკუპაციო

ხაზის მიმდებარე - წაღვლის საჯარო სკოლის მოსწავლეები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობა და ანტიდასავლურ პროპაგანდასთან ბრძოლის მეთოდები. შეხვედრას უძღვებოდნენ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ლაშა დარსალია და საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის დირექტორი თორნიკე ნოზაძე.

ნატოს დღეები საქართველოში მეთერთმეტედ აღინიშნება. ნატოს დღეები - 2018 წლის 16 აპრილს დაიწყო და 1 მაისს დასრულდა. ღონისძიებების მიზანია ალიანსისა და ნატო-საქართველოს თანამშრომლობის შესახებ საქართველოს მოქალაქეების ინფორმირება. აღნიშნული დღეების ფარგლებში, ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრების საკითხზე საზოგადოებასთან ინტენსიური შეხვედრა-დისკუსიები, რომელიც იმართება როგორც თბილისში, ისე საქართველოს 8 რეგიონში (კახეთი, შიდა-ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, სამეგრელო, იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო-ქართლი).

მიმდინარე წელს, ნატოს დღეები სსიპ-ის „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ და საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, საქართველოში ნატოს სამოკავშირეო ოფისისა და საქართველოში ბულგარეთის საელჩოს (ნატოს საკონტაქტო საელჩო) მხარდაჭერით გაიმართა.

დიდ სამამულო ომში გამარჯვების 73 -ე წლისთავი

ზეგ 9 მაისია – დიდ სამამულო ომში გამარჯვების 73 წლისთავი. დღე, როდესაც საბოლოო აქტით დადასტურდა ფაშიზმის განადგურება და მსოფლიო ამ რუხი საშინელებისაგან გაიწმინდა.

მილიონობით ადამიანი შეეწირა ამ ომს. მილიონობით ადამიანის სისხლი დასჭირდა, რომ მეოცე საუკუნის ეს ჭირი საკუთარ კედლებშივე – ბერლინში მომსპარიყო. ქართველმა ხალხმა, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ერებმა, უდიდესი წვლილი შეიტანეს გამარჯვებაში. ასეულათასობით ქართველი დაეცა ბრძოლის ველზე, მათ შორის, რა თქმა უნდა, მრავლად იყვნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის წარგზავნილებიც. გამარჯვებით დაბრუნებულთათვის, და არა მხოლოდ, ეს დღე წმინდა დღეა. ეს დღე მათი ვაჟკაცობის, მათი უდიდესი პატრიოტიზმის, მათი თავდადების დამადასტურებელი სხივია. სამწუხაროა, რომ მათი რიცხვი ყველწლიურად მცირდება. ჩვენ, მათი შემდგომი თაობები, თავს ვხრით მათ წინაშე და კიდევ ერთხელ ვეუბნებიტ მადლობას ამ შესანიშნავ პიროვნებებს.

ვულოცავთ ყველას დამდეგ 9 მაისს!

გამარჯვებები არ მოგაკლდეთ, მეგობრებო!

სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობა რომ ამაღლდეს

სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას არსებითი მნიშვნელობა აქვს ზოგადი განათლების მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად. პირველად, საქართველოს მასშტაბით, ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ინიცირებით, საპილოტე რეჟიმში, 13 საჯარო სკოლაში დაიწყო მშობელთა ინფორმირებულობის ამაღლების კამპანია. კამპანიის ფარგლებში, შეხვედრები მიმდინარეობს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მშობლებთან, ინტერაქციის რეჟიმში.

როგორც ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, ზვიად გოგუაძემ გვითხრა: - კამპანიის ფარგლებში განვიხილავთ მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის მნიშვნელოვან საკითხებს, მშობელთა უფლებებსა და ვალდებულებებს, სკოლის მართვაში მშობელთა მონაწილეობის ხარისხს. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ დიდია მშობელთა ინტერესი და ჩართულობა. აღნიშნული კამპანია მომავალშიც გაგრძელდება.



საატესტატო გამოცდები მოახლოვდა

სულ ერთი თვე და, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2017-2018 სასწავლო წელი დასრულდება. დაბალი კლასის მოსწავლეებისათვის საზაფხულო არდადეგები დაიწყება – მხიარულობითა და თავგადასავლებით სავსე დღეები. მეთორმეტე კლასელებისათვის კი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დგება-ეროვნული გამოცდები, თუმცა, მათ მანამდე კიდევ ერთი ბარიერი აქვთ გადასალახი-გამოსაშვები გამოცდები, რომლის წარმატებით გადალახვის შემთხვევაში, ისინი საშუალო საფეხურის გავლის დამადასტურებელ მოწმობას-ატესტატს მიიღებენ. როგორც ჩვენთან საუბარში საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებს 843 მეთორმეტეკლასელი დაემშვიდობება. მათი 84 პროცენტი უკვე დარეგისტრირებულია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და სტუდენტობისთვის ემზადება. აგვისტოს ბოლოს ჩვენ უკვე გვეცოდინება რამდენი მათგანი დაძლევს ამ ბარიერს.

“ხაშურის მოამბე” თვალს მიადევნებს ამ პროცესს და მკითხველს პერიოდულად მიაწვდის როგორც სასკოლო, ასევე ეროვნულ გამოცდებზე ჩვენი მოსწავლეების შედეგებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილება № 40

2018 წლის 1 მაისი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უფასო სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უფასო სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესი დანართი №1-ის შესაბამისად (თან ერთვის);

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 მარტის №29 დადგენილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უფასო სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge 01/04/2011; 280120000.35.143.016058).

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

დანართი №1

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უფასო სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უფასო სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის მიზანია განისაზღვროს უფასო სასადილოს ფუნქციონირებაზე პასუხიმგებელი ორგანოები და დადგინდეს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მოხდება პირთა რეგისტრაცია და განაწილება სასადილოში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) უფასო სასადილო – ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კვების ობიექტი, რომელიც უსასყიდლოდ ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირებს;

ბ) ბენეფიციარი – პირი, რომელიც სარგებლობს უფასო სასადილოს მომსახურებით.

გ) მერია – ხაშურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს უფასო სასადილოს ფუნქციონირებას.

დ) რეგისტრაცია – უმწო მდგომარეობაში მყოფი პირის აღრიცხვა ბენეფიციარად;

ე) საცხოვრებელი ადგილი – პირის საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი რეგისტრირებულია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემებით.

მუხლი 3. უფასო სასადილოში ბენეფიციართა რაოდენობა

უფასო სასადილოში დასარეგისტრირებელ ბენეფიციართა საერთო რაოდენობა განისაზღვრება არა უმეტეს 185 ბენეფიციარით.

მუხლი 4. ბენეფიციართა რეგისტრაცია

1. უფასო სასადილოში ბენეფიციარად რეგისტრაციის მიზნით პირი განცხადებით მიმართავს მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა ახლდეს მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები.

2. მერია განცხადებას განიხილავს 15 დღის ვადაში და იღებს გადაწყვეტილებას პირის ბენეფიციარად რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 5. ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმები

1. ბენეფიციარად რეგისტრირდება პირი, რომლის ოჯახიც აღრიცხულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და აქვს 0-70 000-მდე სარეიტინგო ქულა, ასევე მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

2. მერია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პირის ბენეფიციარად რეგისტრაციის შესახებ, თუ იგი ვერ აკმაყოფილებს მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, მაგრამ მისი შემოსავალი ნაკლებია საარსებო მინიმუმზე და მოკლებულია შესაძლებლობას დამოუკიდებლად უზრუნველყოს მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

მუხლი 6. უარი ბენეფიციარად რეგისტრაციაზე

მერია უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის რეგისტრაციაზე იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ აკმაყოფილებს მე-5 მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებს ან/და შევსებულია ბენეფიციართა საერთო რაოდენობა.

მუხლი 7. ბენეფიციარის რეგისტრაციიდან მოხსნა

მერია იღებს გადაწყვეტილებას ბენეფიციარის რეგისტრაციიდან მოხსნის თაობაზე, თუ:

ა) ბენეფიციარმა პირადი განცხადებით მიმართა მერიას აღნიშნულის შესახებ;

ბ) ბენეფიციარი არ აკმაყოფილებს მე-5 მუხლით დადგენილ კრიტერიუმებს;

გ) ბენეფიციარის საცხოვრებელი ადგილი არ მდებარეობს მუნიციპალიტეტის საზღვრებში;

დ) ბენეფიციარი 1 თვის განმავლობაში არ სარგებლობს უფასო სასადილოს მომსახურებით და

აღნიშნული არ არის გამოწვეული საპატიო მიზეზით;

ე) ბენეფიციარი გარდაიცვალა.

ხაშურის მუნიციპალიტეტს ტურისტული კუთხით მაღალი პოტენციალი გააჩნია

შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით, თითოეულ მუნიციპალიტეტს დაევალა საკუთარი ტურისტული რესურსების აღწერა, რათა, ამ კუთხით, პოტენციალი გაიზარდოს. მიზანი ერთია: რეგიონებმა გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, რომ შიდა ქართლი ერთ-ერთ საუკეთესო კულტურულ-ტურისტულ ცენტრად იქცეს. აღნიშნული დავალება, რა თქმა უნდა, ხაშურის მუნიციპალიტეტმაც მიიღო, რომელიც ამ მხრივ, ერთობ საინტერესო კუთხეა. დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის დირექტორს, რევაზ ნოზაძეს, მუნიციპალიტეტში არსებული სასტუმროების, კვების ობიექტების და სხვა ტურისტული თვალსაზრისით საინტერესო ადგილების დასათვალიერებლად და აღსაწერად, „ხაშურის მოამბე”-ც თან ახლდა. საკმაოდ ნაყოფიერი და სასიამოვნოდ დატვირთული დღე გამოგვივიდა. პირველ გაჩერება გახლდათ სურამი – ჩვენი რაიონის ერთ-ერთი მთავარი ტურისტული პოტენციალის მქონე დაბა, სადაც, საოჯახო ტიპის სასტუმროები მოვინახულეთ. სურამი, რა თქმა უნდა, ერთადერთი ადგილნიშნული არ არის, მომდევნო დღეებში, ბატონ რეზოსთან ერთად, სხვა მნიშვნელოვან ტურისტულ ცენტრებსაც მოვინახულებთ.

სურამში, ერთი სასტუმრო და ოთხი საოჯახო ტიპის სასტუმრო აღვწერეთ. რაც, ძირითადად, გულისხმობდა ოთახის ნომრების რაოდენობის დადგენას, საფასურს, სერვისის დონეს და ა.შ. უნდა აღინიშნოს, სასტუმროს მფლობელები, ძირითად პრობლემად მიიჩნევენ, იმას, რომ ტურისტების აქტივობა მხოლოდ სეზონურად აღინიშნება. მათი სურვილია ეს რაოდენობა ყველა სეზონზე თანაბარი იყოს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს რაიონში მდებარე მსგავსი ობიექტების სერვისის დონე საკმაოდ კარგია და შეესაბამება სერვისის საფასურს. ჰიგიენური თვალსაზრისით, სველი წერტილების რაოდენობით, რაც ასე მნიშვნელოვანია ტურისტისთვის, ამ მხრივ, კარგი მდგომარეობაა. ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა სასტუმრო ბიზნესის განვითარებაა, შესაბამისად, საჭიროა საოჯახო ტიპის სასტუმროებმა სათანადო პირობები შესთავაზონ ტურისტებს, მათთან დაბრუნების სურვილი კვლავაც რომ გაუჩნდეთ.

აქვე აღვნიშნავ, რომ ტურიზმი, ძალიან ბევრი ქვეყნისთვის, ძირითადი შემოსავლის წყაროა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო მდიდარია ტურისტული პოტენციალით, სულ თავისუფლად შეიძლება ჩამოყალიბდეს, ამ კუთხით, ერთ-ერთ წამყვან ქვეყნად. საქართველო საკმაოდ მდიდარია საკურორტო ადგილების რაოდენობით, სადაც საოცარი ბუნება და გარემოა წარმოდგენილი, ამასთან, სამკურნალო თვისებების მქონე კოროორტებსაც მრავლად ვხვდებით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველო დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ უდიდესი პოტენციალის გამოყენებას ბოლომდე ვერ ვახერხებთ, შესაბამისად, ქვეყანა სათანადო ფინანსურ შემოსავალსაც ვერ იღებს. ამის მიზეზი ჩვენს ქვეყანაში მარავლადაა და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუმცა ერთ-ერთ ძირითად პრობლემას ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე წარმოადგენს. ბოლო დროინდელი მონაცემებით რომ ვიმსჯელოთ, მხოლოდ მიმდინარე წელს საქართველოს 2 მილიონზე მეტი მოგზაური ეწვია, წინა წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ეს 15%-ით მეტია. ეს ციფრი, ცხადია, სიხარულის საბაბს გვაძლევს, თუმცა საჭიროა ტურისტს სათანადო პირობები შევთავაზოთ, ქვეყანამ უნდა შეიმუშავოს სწორი სტრატეგია, რათა ეკონომიკის განვითარების დონის გაზრდის სანაცვლოდ, პირიქით, უკუჩვენებისკენ, არ ავიღოთ გეზი.

საინტერესო თანამოსაუბრე აღმოჩნდა ბატონი რევაზი. გზად, ჩვენი საუბარი კითხვა- პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. მასთან ერთად განვიხილეთ ტურიზმის განვითარების მნიშვნელობა ქვეყნისათვის და ხაშურის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი.

რევაზ ნოზაძე: „ტურიზმი ერთ-ერთ სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა მსოფლიო მასშტაბით. ქვეყნები ცდილბენ, რომ დაეყრდნონ ინდუსტრიის დინამიური განვითარების ტემპს, რომ მიიღონ სექტორიდან უფრო მეტი შემოსავალი, შექმნან დასაქმების თვალსაზრისით მეტი შესაძლებლობა, ხელი შეუწყონ კერძო სექტორის და ინფრასტრუქტურის განვითარებას. ტურიზმის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც სხვა ეკონომიკური აქტივობები, როგორიცაა წარმოება, ბუნებრივი რესურსების ექსპორტი და ა.შ. ნაკლებადაა განვითარებული. ცნობილია, რომ „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025”-ის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია შეიქმნას ისეთი ტურისტული გზამკვლევი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში ტურიზმის მდგრად განვითარებას, მიღებული შემოსავლების გაზრდას და დარგის მნიშვნელობის ამაღლებას. ამ მიმართულებით კარგი პერსპექტივები გააჩნია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.”

- ბატონო რევაზ, ჩვენ ახლა სურამში ვიმყოფებით, ვისაუბრეთ ბაიანთხვის, ჩუმათელეთის და ბიჯნისის საკურორტო პოტენციალზე, ამ დაბის ტურისტულ პოტენციალზე ბევრი ითქვა და დაწერილა, მაინტერესებს, თქვენ რო-

(დასასრული III გვერდზე)

სევდიანი ამბავი

საბერძნეთიდან ვბრუნდებოდი. ჩემს უკან, ორი ქალბატონი იჯდა. ავტობუსში გაიცნეს ერთმანეთი. ერთ მათგანს ვარდისფერი სახე ჰქონდა, თმა ჩამოშლილი, სავსე მკერდი და დიდრონი შავი, მწველი თვალები. მეორე შედარებით ახლგაზრდულად გამოიყურებოდა. ლამაზს ვერ იტყოდი, მაგრამ არც პირიქით იყო. ჯერ მორიდებით იყვნენ, მერე სწრაფად დასძლიეს ადამიანთა ურთიერთობის უჩინარი ხლართები, ისე შეხმატკბილდნენ, ჩიტებივით აჭიკჭიკდნენ და ყველაფერი გადმოულაგეს ერთმანეთს.

სახლიდან პატარა ბალიში გამომატანეს, მივდე თავი და ვცადე დამეძინა. მაგრამ ვინ დაგაძინა? მათი საუბარი იმდენად საინტერესო მეჩვენა, ყურადღება ვერ მოვწყვიტე და ძალაუნებურად, მოვისმინე. ახლა მინდა, შემოგთავაზოთ მათი მონათხრობი მოკლედ...

„ჩვიდმეტი წლისა გავთხოვდი. ჩემი ქმარი „გეპეიში“ სწავლობდა. 18 წლისას ბავშვი გამიჩნდა. სახლში დედამთილი და მამამთილი მყავდა. ქმარმა „გეპეი“ რომ დაამთავრა და მუშაობა დაიწყო, ქვეყანა ჩემი მეგონა. მაგრამ „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“... დაინგრა ქვეყანა. ქმარი უმუშევარი დარჩა. ერთხელ ნასვამი მოვიდა. მერე და მერე დაიწყო და რა დაიწყო. თითქმის ყოველდღე მთვრალი მოდიოდა. მამამთილი გარდაიცვალა, მიწები დაგვირიგეს. მე და დედამთილი წელებზე ფეხს ვიდგამდით. სიმინდი და ლობიო მოვიყვანეთ, ძროხა გვყავდა და ლუკმა-პური არ გვიჭირდა. 500 ლიტრი ღვინო ჩავასხით. ერთ თვეში გამოუყვანა წირვა ჩემმა ქმარმა. კაცად აღარ ვარგოდა. განუწყვეტელმა ლოთობამ მათხოვრად აქცია. ერთ ჭიქა სასმელში ეშმაკს მიჰყიდდა სულს. ნივთების გატანა დაიწყო სახლიდან, ნიშნობის ბეჭედიც კი წამართვა...

მოველაპარაკე დედამთილს, გავყიდეთ ვენახი... ოხრად დარჩენილა, ორი რად გვინდაო? წამოვედი საბერძნეთში. 10 წელია აქა ვარ. დედამთილს 300 ევროს ვუგზავნიდი თვეში. თვითონაც ჰყოფნიდა და ბავშვსაც, მაგრამ ქმარი ართმევდა და ვერაფერს ინახავდა...

ერთ მოხუცებულს ვუვლიდი. აცხონოს ღმერთმა, კარგი ქალი იყო. ხელებზე მეფერებოდა ხოლმე. ზღვის პირზე აგარაკი ჰქონდათ. მე და ჩემი მოხუცებული ზაფხულს იქ ვატარებდით. რომ დაიძინებდა, სადილის შემდეგ, გამოვიდოდი ეზოში, ჩამოვჯდებოდი ხის ძირში და ჩემს უბედურებაზე ვფიქრობდი. მეზობლად კოტეჯი იდგა. ერთი ბერძენი, 50 წლის კაცი, ჩამოვიდა. ეზოში, რომ ვიჯექი, ისიც თავის ეზოში გამოდიოდა. ჯერ მომესალმა, მერე საუბარში ჩამითრია. ჩემი ამბები რომ მოვუყევი, უფრო დამიახლოვდა. ბოლოს ისე გათამამდა, სახლშიც შემიპატიჟა ყავაზე... მეორედ პროდუქტები ვიყიდე და შინ ვბრუნდებოდი, დამეწია, ჩანთა გამომართვა და ისევ დამპატიჟა, ერთად ვისადილოთო. წამოსვლა რომ დავაპირე, წინ გადამიდგა, მომწონხარო მითხრა. არ ვიცი, რა მომივიდა, ხომ არ გგონია გავუძალიანდი, ეგრეევ დავნებდი... ორი დღე და დამე ვფიქრობდი მომხდარზე. მოხდეს რაც მოსახდენია-მეთქი და ვახშმის შემდეგ ჩემმა მოხუცებულმა, რომ დაიძინა, მე თვითონ გადავაკითხე. ასე გავხდი იანის საყვარელი.

სექტემბერში, ათენში დავბრუნდით. იანი შორს ცხოვრობდა, მაგრამ შეხვედრებს მაინც ვახერხებდით. ერთი პატარა მანქანა ჰყავდა და ხშირად მაკითხავდა. მარტო ცხოვრობდა ოროთახიან ბინაში. ცოლშვილიანი შვილი ჰყავდა, სხვაგან ცხოვრობდა. მე რომ მივიდოდი, ტყუილად ხომ არ გავჩერდებოდი, თუ რამე იყო გასაკეთებელი ვაკეთებდი, ბინის დიასახლისივით ვიქცეოდი. ორი თვის მერე გამომიცხადა, ჩემი ცოლი უნდა გახდეო. როდემდე გინდა იმ მოხუცებულს უარო, ჩემი ხელფასი ორივეს გვეყოფაო. ცოლად როგორ გამოგყვე, ქმარ-შვილი მყავს-მეთქი. წადი, გასცილდი ქმარს, ქალიშვილი აქ ჩამოიყვანე, არაფერს მოვაკლებო. ვიფიქრე, ვიფიქრე და იმ დასკვნამდე მივედი, სხვა გზა არა მაქვს-მეთქი. იანი არც ისე შეუხედავია, დაბალი, ფერმკრთალი, თმები გვარიანად შეთხელებული, გამოკვეთილი ყვრიმალის ძვლები, ჩავარდნილი ლოყები... ჩემს ლამაზ ქმარს ვადარებდი - სიცოცხლე ჯოჯოხეთად რომ გადამიქცია. იანი მოწესრიგებული და კულტურული კაცი იყო. კინოში მპატიჟობდა ხოლმე. ხშირად რესტორანში დავყავდი. შევამჩნიე მამაკაცები ყურადრებას მაქცევდნენ და, რაც მთავარია, არ სვამდა. მართალია აპოლონს არ ჰგავდა, მაგრამ ლოგინში კაცად ვარგოდა. აპოლონი ვინ ჯანდაბააო – მეორემ ჰკითხა. მაგათი ღმერთი ყოფილა ადრე, ვიდრე ქრისტიანობას მიიღებდნენ. ერთხელ მუზეუმში წამიყვანა. იქ ვნახე ერთი შიშველი კაცის ქანდაკება. იანმა მითხრა, აპოლონიაო. რაღაცეები მომიყვა, ამის ღმერთი, იმის ღმერთიო, აღარ მახსოვს.

მომცა 1000 ევრო და წამოვედი საქართველოში. მოველაპარაკე შვილს, VIII კლასში იყო. დედამთილს ეწყინა, მაგრამ რას იზამდა? ვუთხარ, არაფერს მოგაკლებო. სამი დღის მერე ქმარსაც ვუთხარი, საცოდავად გაიღიმა - გაცლილები არა ვართო? რაც გინდა, ის ქენიო. წავედი სასამართლოში, მოსამართლემ მითხრა, ერთ თვეში იქნება სასამართლოო. ვერ მოვიცდი-მეთქი. 500 ევრო მივეცი, ერთ კვირაში უნდა გაგვცალო-მეთქი. სტაცა ფულს ხელი და გააქანა ჯიბეში. შევარდნაძის დრო იყო, იქცეოდა ქვეყანა. ერთ კვირაში გაგვცალეს. ჩემი ქმარიც მოვიდა სასამართლოზე. თანხმობა განაცხადა, დაღუპული კაცი ვარო, მოსამართლეს უთხრა, თან ცრემლები წამოუვიდა. არასდროს დამავიწყდება მისი ჩაცვენილი თვალები და ნაღვლიანი გამოხედვა, თითქოს შველას მთხოვდა... საშინლად მომეწურა გული.

ასე გავხდი იანის ცოლი. „მწვანე კარტა“ რომ მივიღე, ჩემი გოგონაც ჩამოვიყვანე. მეშვიდე კლასში დასვეს. სწრაფად აითვისა ბერძნული, სკოლა წარმატებით დაამთავრა და უმაღლესში მოეწყო. სწავლის ქირას იანი უხდის. ჩემს მოხუცებულს რომ დავშორდი, მეც ვტიროდი და ისიც. იანი ინჟინერია, კარგი ხელფასი აქვს 2000 ევრო. მეც დამაწყებინა ოფისში დამლაგებლად მუშაობა. დედამთილთან ჩემი მული გადმოვიდა და ის პატრონობს ჩემს ქმარს, თვეში 200 ევროს ვუგზავნი. ზოგჯერ ამანათსაც... თითქოს აღარაფერი მიჭირს, კმაყოფილიც უნდა ვიყო, მაგრამ რაღაც სევდა შემომაწვება ხოლმე გულზე. გამახსენდება ჩემი საცოდავი პირველი ქმარი და ცრემლებით მევსება თვალები. ჩემს გოგოს ძალიან უყვარს მამა. ხშირად ელაპარაკება ტელეფონით. ახლა დედამთილი გარდაიცვალა და იმის დაკრძალვაზე წამოვედი... რა ვქნა, ასეთი ყოფილა ჩემი ბედი.

მეორე ქალბატონი: „სამი შვილი მყავს. ორი ბიჭი, ერთი გოგონა. ძალიან რომ გაგვიჭირდა, ვუთხარი ქმარს, წავალ, რაც არის არისო. ამ სიდუხჭირეს ყველაფერი სჯობია, მითხრა და წამოვედი. ნათესავი დამხვდა, ადრე წამოსული. რესტორანში ჭურჭლის მრეცხავად დავიწყე მუშაობა. ჩემმა ბეჯითმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. სამზარეულოში გადამიყვანეს და სალათების დამზადება დავიწყე. 900 ევროს ვიღებ. ჩემი ქმარი დღიურ სამუშაოზე მუშაობდა. ამ გვიან თბილისში წავიდა, მშენებლობაზე მოეწყო. ბავშვებს მისი მშობლები უვლიან. ბინის მშენებლობაზეც შევიტანეთ ფული. 8 წელია ქმარ-შვილი არ მინახავს. ახლა მივიღე „მწვანე კარტა“. ჩემმა უფროსმა შვებულებაც მომცა. ისეთ დღეში ვარ, გული საგულეში არ ჩერდება“...

ავტობუსი ზესტაფონის შემოსასვლელში გაჩერდა. დასახვედრად ქმარი, შვილები და მეზობლებიც მოსულიყვნენ. შეშლილივით ჩახტა ავტობუსიდან, ცრემლები სდიოდა, გიჟივით მივარდა შვილებს, ქმარს, მეზობლებს. იყო ერთ უშველებელი სიხარულის გამომხატველი შეძახილები და შეკივლებები, იმერლებმა, რომ იციან, ისეთი...

პირველი ქალბატონი ჯერ ღიმილით უცქერდა ცოლისა და ქმარ-შვილის ემოციურ შეხვედრას, მერე დანაღვლიანდა, თვალები ცრემლებით აევსო, თავი ხელებში ჩარგო და საცოდავად ამოიკვნესა.

ორი ქალბატონის საუბარი გადმოვეცი ისე, როგორც მოვისმინე და დავინახე. არც არაფერი დავაკელი და არც არაფერი მოვუმატე. ისინი ბუნებრივი სახით მივიღე. მათ საუბარში ადამიანთა გულის წუხილი და გაუტეხლობაც ვიგრძენი.

რას იზამ, ადამიანები გარბიან, უკან იტოვებენ წარსულს. ბედი მათ უცნაურად ექცევა. ხან მკაცრად, ხან ისე ლმობიერად, რომ იმედი ხელახლა იფეთქებს და სამუდამოდ ანთია.

კლიმენტი სუთიაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტს ტურისტული კუთხით მაღალი პოტენციალი გააჩნია

(დასასრული)

გორ გესახებათ, სამომავლოდ, სურამის ტურისტული კუთხით განვითარება?

– სურამს როგორც კურორტს, საუკუნეზე მეტი ისტორია აქვს. 1886 წელს, გაზეთის „ივერია” 263-ე ნომერში განთავსებულ წერილში ვკითხულობთ: „დაბა სურამს თავის მშვენიერი ადგილმდებარეობით და მარგებელი ჰაერით პირველი ადგილი უჭირავს ზემო ქართლში.” როგორც ხედავთ, სურამი, ამ მხრივ, აქტუალობას არ კარგავს და, რა თქმა უნდა, პოტენციალიც საკმაოდ მაღალია. სურამის შემოგარენი დაფარულია ფართოფოთლოვან და წიწვიანი ტყეების ცალკეული მასივებით, რომლის საერთო ფართობის 120 ჰექტარზე მეტია, სამკურნალო პოტენციალზე სწორედ ეს უნიკალური ტყე-პარკი მოქმედებს. აგრეთვე ბალნეოთერაპიის განვითარების პერსპექტივებით გამოირჩევა, ახლო წარსულში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის 60-70-იან წლებში მოსახლეობა და დამსვენებლები ფართოდ გამოიყენებდნენ ბიჯნისის, ჩუმათელეთის და სურამის მინერალურ წყლებს.

- როგორც ვიცით, ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმის რესტავრაცია მიმდინარეობს, როგორ ფიქრობთ, რამდენად შუწყობს ხელს ეს ფაქტი კულტურული ტურიზის განვითარებას ჩვენს რაიონში?

– მომავალში დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის უმთავრესი მისია იქნება ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისათვის და ის უნდა იქცეს კულტურულ-საგანმანათლებლო კერად, რასაც ყველაზე უკეთ, სწორედ გამოფენების მეშვეობით განვახორციელებთ, მაგრამ ცხადია, ეს ნამდვილად არ იქნება არსებობის გამართლებისა და მნახველთა აუდიტორიის გაზრდისათვის. სახლ-მუზეუმი უნდა გარდავქმნათ ცოცხალ, ქმედით ორგანიზმად, რომელიც თავისთავად ითხოვს სპეციფიკური ინფრასტრუქტურის შექმნას და დიფერენცირებულ მიდგომას აქ იგულისხმება მუზეუმისთვის აუცილებელ კომპონენტთა ერთობლიობა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მნახველთა ჯგუფების მომსახურეობის სხვადასხვა ხარისხს: ინფორმაციული მასალის მიწოდებით, მუზეუმის სივრცეში მდებარე მაღაზიით, სხვადასხვა ტიპის კაფეებით, ნებისმიერი ტიპის საგანმანათლებლო პროგრამისა და პრეზენტაციის განხორციელებისათვის გამოყოფილი სივრცით და სხვა.

დღის სასიამოვნო დასასრული სურამში ამაღლების დედათა მონასტრის მონახულება გახლდათ, რომელიც პირველად ვნახეთ. ამ დიდებული ადგილის შემდეგ კიდევ ერთხელ დავეთანხმეთ გამონათქვამს: „რამდენიც არის გადმოსახედი, თურმე იმდენი საქართველოა”. მართლაც, ეს ისეთი ადგილია, აი, მეორე სუნთქვა, რომ გეხსნება, ეზიარები უნიკალურს, ეს უნიკალური კი საქართველოსია. სიამაყე გეღვრება რადგან ეს, სწორედ, რომ შენი გადმოსახედია... სხვაგან ასეთი არ არის.. სხვას ასეთი არ აქვს...

თინა ახალკაცი

ამბები ძველი პრესის ფურცლებიდან

იმპერატორის ვიზიტი ხაშურში და ,,კეკლუცი“ ქვიშხეთი

1888 წლის სექტემბერში, თბილისის გუბერნიას, კერძოდ სააბაშიოს (ახლანდელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილი) მათნი უდიდებულესობანი რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III, იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნა და მათი მემკვიდრეები ეწვივნენ.

გაზეთი “ივერია” ამ ვიზიტის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის და არემარესაც აღგვიწერს.

“მთელმა სააბაშიომ, საცა ოცამდე სოფელია და ათასი კომლი მცხოვრებელი, თითქმის ერთის თვის წინად იცოდა ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორისა და იმპერატრიცას აქ მობრძანება”. მთელი სააბაშიო დიდ სამზადისს შესდგომია. მოსახლეობა ახალ ტანსაცმელს, ამქრები ახალ დროშებს იკერავდნენ, გაჩაღდა დიდი ვაჭრობა და აღებ-მიცემობა. იმპერატორის შესაგებებლად ხაშურის სიახლოვეს, ცხრამუხასა და ქვიშხეთს შორის, გზატკეცილსა და მტკვარს შუა სხვადასხვა პოლკის ჯარი დაბანაკებულა. “ქართველთ ჯარისკაცთ აქლემის ყელის ჩოხები ეცვათ და შავი ნაბდის რგვალი ქუდები ეხურათ”-წერს “ივერია”. ჯარი აქ 10 აგვისტოდან გამოჩენილა, რამაც

ქვიშხეთი XIX საუკუნის შუა ხანებში

განსაკუთრებით ხელი შეუწყო ვაჭრობას სურამსა და ხაშურში. ქართველთა გარდა აქ იყო ჩერნომორის, პიატიგორსკის, ბაქოს, დარუბანდის, ყუბანის, ელისავეტოპოლოს პოლკები.

“ბანაკს, სამხრეთით, მტკვარი ჩაუდის; მდორე მტკვარს, მაგრამ მძლავრსა და ღონიერს მაღლიდგან პატარა სოფლები და შაქრის თავის მსგავსნი მთანი გადმოსცქერიან; სამხრეთით გაჭიმულია გზა-ტკეცილი, მწვანე მინდვრები, ბეღლითისა და სურამის მთები, რომლის კალთებზედ გაშენებულია ლამაზი, კოხტა, ბაღებით შემკული სოფლები: ბეკამი, ყიფიანთუბანი, ტეზერი და სავანლის უბანი. აღმოსავლეთით ბანაკს უძევს სოფ. ცხრა-მუხა, ზემო-ჭალა და ხაშური. დასავლეთით საამურად იცქირება მაღალი ქვიშხეთის მთა, ანუ “მთა-წმინდა”, რომლის ძირში მდებარეობს კეკლუცი, ლამაზი ქვიშხეთი. ამ სოფლით გარკვევით იხედება თავად-აზნაურთა მაღალი სახლები, რომელთა შორის განსვენებულის დ. თ. ყიფიანის სასახლე ნამეტნავად ამაყობს და თავ-მომწონეობს”. სწორედ ამ ხედების გარემოცვაში ყოფილა იმპერატორის დასახვედრად გამზადებული ჯარი და აქვე აუგიათ იმპერატორისა და მისი ოჯახის მოსასვენებელი მდიდრული პავილიონი, რამდენიმე დარბაზით. იგი ათასგვარი დეკორაციით ყოფილა შემკული, მრავალფერად შეღებილი. ყოველივე დეტალურად აღწერილია “ივერიაში”. მის ასაშენებლად 17.000 მანეთი დახარჯულა, რომელიც პოლკის ფული ყოფილა.

მოსახლეობას საგანგებოდ გამოუცხადეს, რომ 26 სექტემბერს, ორშაბათს სააბაშიოში იმპერატორი მობრძანდება. ხალხი კვირა სადამოსვე შეკრებილა და რკინიგზის ახლო სოფლებში დაბინავებულა. იმპერატორი და იმპერატრიცა ხაშურის სადგურზე ჩამოსულა და აქედან ეტლებით წასულან მათთვის მომზადებულ ბანაკამდე. აქ მათ ჯარი დაათვალიერეს, დეპუტატები მიიღეს, პავილიონში დაისვენეს და ბორჯომში წავიდნენ, ხოლო უკან 27 სექტემბერს, საღამოს დაბრუნდნენ. ბანაკიდან საიმპერატორო ოჯახი ხაშურში წასულა, ხოლო აქედან რვა საათზე ტფილისში გამგზავრებულან. რამდენიმე დღეში ბანაკიც მოშლილა, ვაჭრობა კვლავ განელებულა და ცეკვა-თამაშობანი, განათებული გზატკეცილები კვლავ ძველებურ ყოფას დაბრუნებიან.

“ივერიაში” სტატიის ბოლოს ნათქვამია ბანაკის ტერიტორიას მანამდე “ნახვეტარი” ერქვა, ხოლო ამის იქით “ლაგერად” მოინათლაო.

სამწუხაროდ იყო დრო, როცა ხელმწიფე იმპერატორის ხილვა ქართველი ხალხისთვის მნიშვნელოვანი და რაღაც საუცხოო მოვლენა იყო, ეს ალბათ მათმა მონარქისტულმა ბუნებამაც განაპირობა. დრო შეიცვალა, გავიდა ასწლეულზე მეტი და ამ მიდამოების აღწერა ისევ ამდაგვარად შეიძლება. სააბაშიო, ანუ ხაშურის მუნიციპალიტეტის ეს ტერიტორია უამრავი პრობლემის წინაშეა და ძველი ამბები თითქოს გუშინდელი ან დღევანდელი ამბავია.

ბრილელი მებატონის საინტერესო ცხოვრების გზა და მძიმე დასასრული

1897 წლის 13 აგვისტოს იმდროინდელი ქართული საზოგადოება დაამწუხრა ნიკოლოზ დიასამიძის მკვლელობის ამბავმა.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკო დიასამიძის შესახებ XIX საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდულ პრესაში კრიტიკული წერილებია, მას ამხელენ ფინანსურ მაქინაციებსა და სხვა საქმიანობაში, საზოგადოდ ის ითვლებოდა, როგორც ერთ-ერთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი. ეწეოდა პუბლიცისტურ მოღვაწეობას. დიასამიძეები ახლანდელი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრილის მებატონეები იყვნენ და როგორც ჩანს, სოფლის გლეხობაზე კარგი შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს, სწორედ გლეხების თავდასხმამ იმსხვერპლა ნიკო დიასამიძე. იგი შვილთან ერთად გომის სადგურისკენ მიდიოდა, როცა ტყვია ესროლეს და მოკლეს.

ნიკო 1845 წელს დაბადებულა. 1877 წელს ა. თუთაევთან ერთად გორში თავისი ხარჯით გადააკეთა ძველი როტონდა და იქ თეატრი დაარსა. 1877 წელს, მისი აქტიური მონაწილეობით, სოფელ რუისში საქველმოქმედო მიზნით დაარსდა საზოგადოებრივი ბანკი, რომელსაც ერთხანს თვითონვე ხელმძღვანელობდა. 1892 წელს სოფელ ბრილში, მის სახლში, მისივე მონაწილეობით ჩატარდა გაზეთ “კვალის" დამფუძნებელი კრება. გაზეთ “დროებაში" აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს სოციალურ და განათლების საკითხებზე. 1897 წელს, ნიკოლოზ დიასამიძის დაკრძალვას სოფელ ბრილში უამრავ ხალხთან ერთად დასწრებია და მიცვალებულისთვის პატივი მიუგია იმდროინდელ გორის ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე). დაკრძალვას დაესწრო აკაკი წერეთელიც, რომელიც დიასამიძეების ოჯახთან განსაკუთრებით მეგობრობდა.

მან ეს ლექსი მიუძღვნა ნიკო დიასამიძეს:

“ შენც გიცნობდი, ფიცხი იყავ,
თავგამწევი, მეტი ჩქარი,
მაგრამ ძვირად შემხვედრია
შენებრ წმინდა მეგობარი!
ლხინში კარგი, ჭირში მარგი,
პირის კაცი, უტყუარი,
სიმართლის დროს საიდუმლოდ
თვით მტრებისაც მეგობარი.
საზოგადო ჩვენი საქმის
თანამგრძნობი უებარი,
ავის მტერი სიტყვით, ქცევით,
კარგის - გულით მეგობარი".

ნიკო დიასამიძე დაკრძალულია სოფელ ბრილში.

სწორედ ნიკო დიასამიძის უფროსი ვაჟი, რომელიც გარდაცვალებამდე თან ახლდა, იყო გრიგოლ დიასამიძე, საბჭოთა პერიოდში ემიგრაციაში წასული მოღვაწე, ისტორიკოსი, მწერალი და პოლიტიკოსი. იგი

გორათის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესია

1960 წლის 14 მარტს, 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია ნოვო-დივეევოს მართლმადიდებლური მონასტრის ეზოში, ნიუ-იორკში, აშშ.

,,შეკრა წითელი“

1887 წლის 30 იანვრის ნომერში გაზეთი „ივერია" იუწყება, რომ გორის მაზრის თავად-აზნაურებმა გადაწყვიტეს შეკრიბონ მიდამოებში განთქმული ქართლელი მომღერლები და ცნობილ ჩეხ მომღერალს იოსებ რატილის მოასმენინონ. მის მიერ მოწონებულ სიმღერას პატივცემული რატილი პროფესიონალურად დაამუშავებდა და ნოტებად გადაიტანდა. ცნობის ავტორები იმედს გამოთქვამენ, რომ მომღერალთა შორის მიიწვევენ თომა ციციშვილს, რომელიც იმ დროს განთქმული მომღერალი იყო და რომელიც შესანიშნავად ასრულებდა საგვარეულო სიმღერას, სახელწოდებით „შეკრა წითელი".

(დასასრული V გვერდზე)

ამბები ძველი პრესის ფურცლებიდან

იმპერატორის ვიზიტი ხაშურში და ,,კეკლუცი“ ქვიშხეთი

(დასასრული)

სამწუხაროდ არ გვაქვს ინფორმაცია თომა ციციშვილის ეს ნაქები სიმღერა თუ დღეისათვის სადმე შემორჩა და ბატონმა იოსებმაც თუ შეძლო მისი მოსმენა და ჩანიშვნა.

საინტერესო ფაქტია ისიც, რომ დროში ავცდით თომა ციციშვილის სასახლის ნგრევის პერიოდს, რომელიც ბოლო ათწლეულების შედეგია. ეს სასახლე დღეს თითქმის მთლიანად გამქრალია, მაგრამ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ნუსხაშიც კი შეხვდებით.

ციციშვილების სასახლე 1874 წელს იქნა აშენებული ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისში, რომელიც ციციშვილების საბატონოს წარმოადგენდა. ციციშვილების სოფლიდან წასვლის შემდეგ, 1920-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს გასაბჭოების პერიოდში სახლი, რომელიც ორივე სართულზე ოც ოთახს ითვლიდა, გადავიდა სასოფლო საბჭოს განკარგულებაში. იქ დიდხანს მოთავსებული იყო სასოფლო საბჭო, კოლმეურნეობის კანტორა, ამბულატორია, ბაგა-ბაღი, ბიბლიოთეკა თუ სასოფლო კლუბი. 1930 წელს შენობის ნაწილი დაიწვა. აღდგენის შემდეგ, 1974 წლამდე, შენობაში სკოლა იყო განთავსებული.

აკრძალული ,,გორათობა" და ,,ელიობა“

ხაშურში, გორათის უბანში იოანე ღვთისმეტყველის ეკლესი მდებარეობს. ოდესღაც გორათი ცალკეული დასახლებული პუნქტი იყო, მოგვიანებით ქ. ხაშურის უბნად იქცა. ეკლესია თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით და შეკეთებულია XIX საუკუნეში. მოქმედია 1999 წლიდან.

ჯერ ამ სოფლის, შემდგომ კი უბნის დღეობა იყო “გორათობა", რომელიც 8(21) მაისს აღინიშნებოდა.

სამწუხაროდ, “ცნობის ფურცელის", 1905 წლის 1 მაისის ნომერში შემდეგ განცხადებას ვკითხულობთ:

“ჩვენ ხაშურში (მიხაილოვი) მცხოვრებლებმა მოვახდინეთ ყრილობა და დავადგინეთ, რომ დღეის შემდეგ სამუდამოდ მოვსპოთ ყრუ დროიდან მიღებული ჩვეულება და აღარ გადავიხადოთ დღეობა “გორათობა" (8 მაისი), რომელსაც უზომო ხარჯთან ერთად ხშირად უსიამოვნობაც მოჰყვება ხოლმე. ამით ვაცნობებთ მეგობრებს და ნათესავებს, რომ ნუღარ გვეწვევიან ხსენებულ დღეს. ესეც უნდა იცოდნენ, რომ ვინც ჩვენგანი “გორათობა" დღეს ხარჯს გადაიხდის და სტუმრებს მიიწვევს, ჯარიმად გადახდება ხუთი თუმანი სოფლის სასარგებლოდ.

ნიკოლოზ სიხარულიძე, ნიკოლოზ თევდორაშვილი, სანდრო ბითაძე, ლევან ბოლოკაძე, სტეფანე ნოზაძე, დავით ქიტიაშვილი, თედო აბაიაძე, ზაქარია ბოლოკაძე, ზაქარია აბაიაძე, ჩიტო ბოლოკაძე, დათა იბაიაძე, დათა ნაცვლიშვილი".

გორათის ეკლესის ეზოში 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა მემორიალია აღმართული.

ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფელი სავანისუბანი მდებარეობს. აქვეა სავანისუბნის წმიდა ელიას ეკლესია. როგორც მისი წარწერა გვამცნობს ეკლესია 1856 წელს სავანელების, ელისაშვილების, მარგველაშვილების, რამიშვილების, რევაზიშვილების, ციყელაშვილებისა და ორთოიძეების საგვარეულოთა დაკვეთით აუშენებიათ. 1975 წელს ადგილობრივმა მოსახლეობამ ეკლესია შეაკეთა და თუნუქით გადახურა.



ხაშურის რკინიგზის სადგური XIX საუკუნეში.

გაზეთ „ცნობის ფურცელის" 1905 წლის ნომერში გამოქვეყნებულია წერილი, სადაც სოფლის მცხოვრებნი დღეობის - „ელიობის" გაუქმებას ითხოვენ და თუ მაინც გაბედავს და ვინმე გადაიხდის, ჯარიმის დაკისრებით ემუქრებიან. ამავე პერიოდში, თითქმის იდენტური წერილია გამოქვეყნებული დღეობა „გორათობასთან" დაკავშირებით. ორივე მათგანში მას „ყრუ დროიდან" მომავალ ტრადიციას უწოდებენ, თუმცა ცხადია ეს „ყრუ დროიდან" მომავალი ტრადიცია კი არა, დღეობის აღნიშვნის სახეცვლილი ტრადიცია უნდა იყოს და უცნობია ეს წერილები მართლაც ადგილობრივთა სურვილითაა გამოქვეყნებული, თუ მაშინდელი იმპერიული ხელისუფლებისგანაა ინსპირირებული.

მკრტიჩ I ხაშურში

გაზეთ „ივერიის" 1893 წლის სექტემბრის ნომერში ხაშურიდან საინტერესო კორესპონდენციას ვკითხულობთ: „27-28 აგვისტოს ხაშური სულ სხვა სანახავი იყო: აქ დიდ ძალი ხალხი მოვიდა, აბასთუმნიდგან, ახალციხიდგან, ბორჯომიდგან და სხვა-და-სხვა სოფლებიდგან სომეხთ კათალიკოზ მკრტიჩ I-ის მისაგებებლად. 5 საათსა და 12 წამზე გამოჩნდა მატარებელი, არ მოახლოვებულიყო სადგურს, რომ შეიქმნა ძახილი: „კეცე ჰაირიკ!" მოვიდა მატარებელი. გამობრძანდა კათალიკოზი, გადასწერა ხალხს ჯვარი და სთქვა: „მე მოვდივარ წმიდა ადგილებიდგან ბეთლემ-იერუსალიმ და გოლგოთიდგან, მომაქვს იქიდგან ლოცვა-კურთხევა. იყავნთ დღე-გრძელნი და კურთხეულნი, გიყვარდეთ მხნეობა და გქონდეთ ღვთის სიყვარული. აღტაცებული ვარ სიხარულით, რომ გხედავთ ასე გახარებულთ ჩემის ნახვითა"...

სურამის დეპუტაციამ პურ-მარილი და სომხურად დაწერილი სიტყვა მიართვა. 6 საათზედ მატარებელი დაიძრა".

მკრტიჩ I (ხრიმიანი) იყო კონსტანტინეპოლის სომეხთა პატრიარქი 1869-1873 წლებში, სრულიად სომეხთა კათალიკოსი 1892 - 1907 წლებში.

გარდაიცვალა 87 წლის ასაკში, 1907 წლის 29 ოქტომბერს. დაკრძალულია ეჩმიაძინის მონასტერში.

გიორგი ჩუბინიძე

აზიურ ფაროსანას ყველა უნდა შეებრძოლოთ

საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის, 2018 წელს, ყველაზე რთულ გამოწვევად აზიური ფაროსანა რჩება. ყველას კარგად მოეხსენება, რა ზარალი მიაყენა მან, გასულ წელს, დასავლეთ საქართველოს, სადაც მთლიანად ან უდიდესი პროცენტით გაანადგურა თხილის და სხვა კულტურები. მიმდინარე წელს, ქვეყნის მთავრობა აქტიურად ჩაერთო ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლაში და მთელი რიგი ღონისძიებებიც

გატარდა, რაც, იმედია, შესაბამის შედეგსაც გამოიღებს.

როგორც ჩვენთან საუბარში სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორმა ფიტოსანტარიის დარგში რამაზ ღამბარაშვილმა განაცხადა, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის 2018 წლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ყველა რესურსი მობილიზებულია. ჩვენი მუნიციპალიტეტი ერთგვარი ბუფერულ ზონას წარმოადგენს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის. მთლიანად, ქვეყნის მასშტაბით, განათავსდა 100 00 ფერომენიანი დამჭერი. მათ შორის შიდა ქართლში 1100. აქედან ჩვენს მუნიციპალიტეტში -300. ძირითადად ისინი განთავსებულია რიკოთის უღელტეხილზე, რათა ფაროსანას გაუჭირდეს აღმოსავლეთ საქართველოში შემოღწევა. თუ რომელიმე ფერომონზე დაფიქსირდა შემთხვევა, მაშინ დაიწყება მის წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური ღონისძიებები. თუმცა, ასეთი შემთხვევა ჩვენს მუნიციპალიტეტში ჯერ არ მომხდარა. საერთოდ კი, ყველა მოქალაქემ, აღმოჩენის შემთხვევაში, უნდა მოგვმართოს ჩვენ (ხაშური, ტაბიძის ქ.№2, ადმინისტრაციული შენობა) ან დარეკოს ცხელ ხაზზე 15-01. დავამატებ ერთსაც: ჩვენს მუნიციპალიტეტში, დღეისათვის, აღმოჩენილია ფაროსანას ადგილობრივი სახეობები მცირე რაოდენობით, რომელიც საშიშროებას არ წარმოადგენს, - განაცხადა საუბრის ბოლოს ბატონმა რამაზმა.



ჩანჩქერი ღორინამკლის მთის ძირში - ერთ-ერთი ულამაზესი ტურისტული ობიექტი ჩვენს მუნიციპალიტეტში

თავისუფალი ჭიდაობა

ოქროც, ვერცხლიც, ბრინჯაოც

თავისუფალი სტილის მოჭიდავეები კვლავ გვახარებენ. ამ დღეებში, ამბროლაურში, რაჭის ღია პირველობა გაიმართა, სადაც 2004-2006 წლებში დაბადებულებმა 200-მდე სპორტსმენმა მოიყარა თავი. აღნიშნულ ტურნირზე, ჩვენი სასპორტო სკოლა, გიორგი კვინიკაძის ხელმძღვანელობით, 7 მოჭიდავით იყო წარმოდგენილი, რომელთაგან ოთხი მედლებით დაბრუნდა. 57 კგ. კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო **ნიკოლოზ ტოროშელიძემ**. **გიორგი ლაბაძემ** (48კგ.) ვერცხლის მედალი ირგუნა, ხოლო **გიორგი მჭედლიძე** (48კგ.) და **ლევან ნოზაძე** ბრინჯაოს მედლებს დაეუფლენ.

სურათზე: გიორგი კვინიკაძე თავის აღსაზრდელებთან ერთად.

ქველმოქმედება

თანადგომა – თანასკოლელს

ხაშურის №8 საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლის თენგო გონგლაძის ოჯახს ელექტოენერგიის გაუმართაობის გამო დაეწვა სახლი. არანაირი საოჯახო ინვენტარი, პირველადი საჭიროების ნივთები მათ არ გააჩნიათ. სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები გაერთიანდნენ და ოჯახს, შეძლებისდაგვარად ,დაეხმარნენ.

სკოლის დირექცია მადლობას უხდის ყველას ამ ოჯახის თანადგომისათვის.

სიკეთე გადამდებია და ვისაც სურვილი აქვს, მათ დახმარების ხელი კვლავ შეუძლია გაუწოდოს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.